ღია და ფარული წინარწმენები საქართველოში

ომარ შუბითიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა მაყაშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ომარ შუბითიძე

2023

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანი იყო ფარული ასოციაციების ტესტის ქართული ვერსიის შექმნა და მისი გამოყენებით სექსიზმისა და ეიჯიზმის კვლევა. შევიმუშავე ფურცელზე შესასრულებელი ფარული ასოციაციების ტესტის ქართული ვერსია. ტესტი მოვარგე ფარულ სექსიზმსა და ფარულ ეიჯიზმს. ეიჯიზმის შემთხვევაში გამოვიყენე როგორც ვერბალური, ისე ვიზუალური სტიმული. ფარული სექსიზმის ტესტში გამოყენებულია მხოლოდ ვერბალური სტიმული. ფარული ასოციაციების ტესტთან ერთად კვლევაში ღია წინარწმენის შესაფასებელი სექსიზმისა და ეიჯიზმის თვითანგარიშის კითხვარებიც გამოვიყენე და მიღებული შედეგები შევადარე. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 18-დან 50 წლამდე ასაკის 80-მა მონაწილემ. შედეგებმა მნიშვნელოვანი კავშირები გამოავლინა. დადასტურდა დადებითი კავშირი ღია და ფარულ წინარწმენებს შორის. ვიკვლიე სქესთაშორისი და ასაკობრივი სხვაობები. ასაკობრივი სხვაობა არ გამოვლინდა არც სექსიზმის და არც ეიჯიზმის შემთხვევაში. სქესთაშორისი სხვაობების კვლევამ აჩვენა, რომ მამაკაცები მნიშვნელოვნად მეტად გამოხატავენ როგორც ფარულ, ისე დაუფარავ სექსიზმს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ფარული ასოციაცია, სექსიზმი, ეიჯიზმი, ფარული წინარწმენა, ღია წინარწმენა.

Abstract

Aim of the current study was to create paper format implicit associations test in Georgian language and to measure implicit sexism and ageism using it. The test was fitted to implicit sexism and implicit ageism. In case of implicit ageism, verbal and visual stimuli were used. In case of implicit sexism, only verbal stimuli were used. In this study, together with implicit associations test, self-reported measures of sexism and ageism were used that assess explicit prejudice. 80 participants ranging from age 18 to 50 completed the tests. Results showed significant relationships. Positive relationship was demonstrated between implicit and explicit prejudices. No age differences were found in current study. Testing for sex differences showed that male participants expressed significantly higher implicit and explicit sexism.

Keywords: implicit associations, sexism, ageism, implicit prejudice, explicit prejudice.